დამტკიცებულია შპს საქარტველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის
აკადემიური საბჭოს 2020 წლის 5 თებერვლის N 01/20 ოქმით
ცვლილება აკადემიური საბჭოს 2021 წლის 20 მარტის N 05/21 ოქმით

შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯი

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

1. საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიულ კოლეჯში მოქმედებს მექანიზმი, რომლის საფუძველზეც კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე შესაბამისი გეგმის შექმნას.
2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მეშვეობით ხორციელდება სპეციალური საგანამანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის სწავლის პროცესი და მისი ადმინისტრირება.
3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება პროფესიული მოდულ(ებ)ის შესაბამისად. აღნიშნული გულისხმობს პროფესიული მოდულ(ებ)ის შესაბამისად სასწავლო გეგმის დაზუსტებას (პროფესიული სტუდენტის საჭიროებებიდან გამომდინარე). აღნიშნული არ გამორიცხავს მხოლოდ ერთი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას პროფესიული სტუდენტის საჭიროებიდან გამომდინარე.
4. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში მითითებული უნდა იყოს: მოდულის/მოდულების სტატუსი; მოდულის/მოდულების დასახელება; მოდულზე დაშვების წინაპირობა; კრედიტების რაოდენობა; სასწავლო პროცესის ხანგრძლივობა და კრედიტების გადანაწილება აღნიშნულ პერიოდზე; შეფასების ფორმები და პირობები; მოდულის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსები და სხვა.
5. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის აუცილებლობა წარმოიშობა შემდეგი გარემოებების არსებობისას:
    - სსსმ პირი სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამზე, მაგრამ ვერ აღწევს სწავლის შედეგებს; ინდივიდუალურ სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში შესაძლოა ჩართული იყოს სსსმ/შშმ პირის კანონიერი წარმომადგენელი/მხარდამჭერი;
    - პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მობილობით გადმოსულია პირი, რომლის სწავლის შედეგები განსხვავდება კოლეჯის შესაბამისი საგნობრივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებისგან;
    - პირი რომელსაც პროფესიული სტუდენტის სტატუსი შეჩერებული ჰქონდა ერთ თვეზე მეტხანს და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას;
    - წინმსწრები ფორმალური ან არაფორმალური განათლების აღიარებისას
    - იმ შემთხვევაში თუ პროფესიულ სტუდენტს სჭირდება სასწავლო რესურსებთან ადაპტირება, პროფესიული მასწავლებელი უწევს დახმარებას, ხოლო იმ შემთხვევაში თუ პროფესიული მასწავლებელი ვერ ახორციელებს ამ ტიპის დახმარებას, იგი აყენებს მოთხოვნას კოლეჯის დირექტორთან და შესაბამისად, ხდება სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბება და პასუხისმეგებლი პირების გაწერა.

იმისათვის რომ განისაზღვროს, რამდენად ეფექტურია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, ამისათვის სასწავლო პროცესის მსვლელობის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი ფაქტორები:

5.1 პროფესიული განათლების მასწავლებელმა სრულფასოვნად უნდა შეაფასოს პროფესიული სტუდენტის მიღწევები, რისთვისაც საჭიროა რომ აწარმოოს შეფასების პროცესი (ყოველდღიურად). პროფესიული განათლების მასწავლებელს დეტალური ინფორმაცია უნდა ქონდეს პროფესიული სტუდენტის სასწავლო მიღწევებისა თუ ბარიერების შესახებ, რომ არ მოხდეს სხვადასხვა ეტაპ(ებ)ის არასწორად განსაზღვრა.

5.2 პროფესიული სტუდენტის შეფასების პარალელურად, უნდა დგინდებოდეს საჭიროებების აუცილებლობა და არგუმინტირებულად განისაზღვროს საჭირო ცვლილებები. აღნიშნულისათვის, ინდივიდუალური სასწავო გეგმით უნდა განისაზღვორს:

- რა დამატებითი ცვლილებებია საჭირო;
- რა დროში მოხდება მოდულების დახურვა და სასწავლო შედეგების მიღწევა;
- არის თუ არა საკმარისი რესურსი იმისათვის, რომ განხორციელდეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;

6. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება კოლეჯის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის, პროგრამის ხელმძღვანელის, პროფესიული განათლების მასწავლებლის, უშუალოდ სტუდენტის ან სტუდენტების მიერ. მათი ძირითადი მიზანია, მოხდეს ზუსტი განსაზღვრა თუ რა ტიპის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა უნდა შეიქმნას და რა ტიპის რესურსებია საჭირო იმისათვის, რომ პროფესიულმა სტუდენტმა მიაღწიოს სასწავლო შედეგს.
7. ყოველი მოდულის დასრულების შემდეგ პროფესიული განათლების მასწავლებელმა უნდა შეიმუშავოს ანგარიში, თუ როგორ მოხდა მიმდინარე მოდულის დასრულება და რა საჭიროებები დადგა სწავლების პერიოდში; აღნიშნულის საშუალებით კი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხორციელებაში ჩართული სხვა პროფესიული განათლების მასწავლებლებს ექნება ერთგვარი გზამკვლევი, რომ უკეთესად დაგეგმონ სასწავლო პროცესი და მიღებული შედეგი იყოს ხარისხიანი.
8. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალირი სასწავლო გეგმის შემუშავებაში, ხოლო არასრულწლოვანი/მხარდაჭერის მიმღები პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში შესაძლოა ჩართულ იქნას მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი.
9. სსსმ პირი სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამზე, მაგრამ ვერ აღწევს სწავლის შედეგებს, პროფესიული მასწავლებელი მიმართავს დაწესებულების დირექტორს, რის შემდგომაც სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის მიერ ხორციელდება სასწავლო პროცესზე დასწრება - დაკვირვების მიზნით, თუ ფაქტი დადასტურდა, სასწავლო პროცესისა მართვის მენეჯერი პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიულ განათლების მასწავლებელთან და შესაბამისი სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტის ასისტენთან ერთად 5 სამუშაო დღეში შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას.

10. სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტისათვის შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, წარმოადგენს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და შესაბამისად, აზუსტებს სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გამოიყენება, როგორც სახელმძღვანელო სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის და მის ფარგლებში სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტის მიმდინარე შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურად, განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან მიმართებით, ხოლო საბოლოო შეფასება და კრედიტების მინიჭება - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის მოთხოვნებთან მიმართებით.